ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 50-102

"20" დეკემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე კანონის მე-7 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 18/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016015) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების:

1. მე-3 მუხლს „შ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ¹" ქვეპუნქტი:

„შ¹) შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა".

2. 22-ე მუხლს „ნ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ნ¹ და ნ² ქვეპუნქტები:

„ნ¹) შრომის უსაფრთხოების სფეროში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების დაცვის უზრუნველყოფა;

„ნ²) კომპეტენციის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის და აპარატის მოსამსახურეთათვის/თანამშრომლებისათვის უსაფრთხო და ნორმალური სამუშაო პირობების შექმნისა და მუშაობის დროს წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორების ორგანიზება და უზრუნველყოფა."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**